



შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – „სასწავლო უნივერსიტეტი“) ეთიკის კოდექსი წარმოადგენს აკადემიური და ზნეობრივი ნორმების ერთობლიობას, რომელთა დაცვა სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მონვეული პერსონალისა (შემდგომში – „პერსონალის“) და სტუდენტებისათვის.

ადმინისტრაციული, აკადემიური და მონვეული პერსონალის ეთიკის კოდექსი

მუხლი 2. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის პრინციპები სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება ხუთ ძირითად პრინციპს: ა. მაღალი ხარისხი

- ბ. აკადემიური თავისუფლება
- გ. სამართლიანობა
- დ. ანგარიშვალდებულება
- ე. კეთილსინდისიერება.

მუხლი 3. ადმინისტრაციული, აკადემიური და მონვეული პერსონალის ეთიკური მოვალეობანი

1. ადმინისტრაციულმა, აკადემიურმა და მონვეულმა პერსონალმა უნდა შექმნას ცოდნის მიღებისა და პროფესიული განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო-პირობები სასწავლო უნივერსიტეტში;
2. ადმინისტრაციული, აკადემიური და მონვეული პერსონალის სასწავლო უნივერსიტეტში საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, პროფესიულ კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას და იგი ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში სასწავლო უნივერსიტეტის იმიჯისა და ნდობის გამყარებას;
3. ადმინისტრაციულმა, აკადემიურმა და მონვეულმა პერსონალმა მუშაობის დროს უნდა უზრუნველყოს ხელსაყრელი პირობებისა და გარემოს შექმნა, როგორც საკუთარი, აგრეთვე, თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის;
4. სასწავლო უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში პერსონალმა უნდა უზრუნველყოს სქესის, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური კუთვნილების, ასაკის გამო თანამშრომელთა და სტუდენტების დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
5. პერსონალი უნდა დაემორჩილოს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მარეგულირებელ წესებსა და პროცედურებს და შესაბამის კანონმდებლობას;
6. პერსონალმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი წარმომადგენლის მიერ უნივერსიტეტის რესურსების ეფექტური გამოყენება;

7. პერსონალს არ აქვს უფლება მიიღოს საჩუქარი ან თანხა სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან, დაწესებულების ბიზნეს-პარტნიორებისაგან ან სხვა დაინტერესებული პირებიდან მათთვის პირადი სარგებელის სანაცვლოდ;
8. პერსონალმა ეფექტურად და სათანადოდ უნდა გამოიყენოს სასწავლო უნივერსიტეტის - შენობა, ტექნიკა და აღჭურვილობა და დრო. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ანაზღაურებული დრო, მისი ფიზიკური რესურსები და ინტელექტუალური საკუთრება გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ორგანიზაციული მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის ნებართვა არსებობს;
9. ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მონვეულ პერსონალს შორის არსებული სამსახურეობრივი ურთიერთობები უნდა იყოს პროფესიონალური და ეთიკური. მიუღებელია ანონიმური წერილები, დაუსაბუთებელი განცხადებები და კომენტარები კოლეგის სამსახურეობრივი საქმიანობისა და პირადი ცხოვრების შესახებ;
10. ადმინისტრაციულმა, აკადემიურმა და მონვეულმა პერსონალმა არ უნდა გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის ლეგიტიმური საჭიროება არსებობს.

სტუდენტთა ეთიკის კოდექსი

მუხლი 4. ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო და ძირითადი პრინციპები

1. ეს კოდექსი ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებზე და აწესრიგებს მათი ქცევის წესებს სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის მთელი პერიოდისათვის.
2. ამ კოდექსის მიზნებისათვის სტუდენტად მიიჩნევა პირი, რომელიც სწავლობს სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამაზე.
3. სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებებით.
4. სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი წესები.
5. სტუდენტი აღიარებს სასწავლო უნივერსიტეტის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 5. სტუდენტთა ეთიკის საერთო წესები

5.1. სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

- ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);
- ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა;
- გ) ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

- დ) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშები;
 - ე) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);
 - ვ) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;
 - ზ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა.
 - თ) ბილწისიტყვაობა.
 - ი) ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;
 - კ) ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შემოტანა და/ან გავრცელება;
 - ლ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;
 - მ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის.
- 5.2. ვალდებულია, არ დაიგვიანოს ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე.
- 5.3. სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ვალდებულია თან იქონიოს სტუდენტის ბილეთი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 6. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესები

6.1. სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება აკადემიური სიყალბე, კერძოდ:

- ა) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;
- ბ) ხელის შეშლა სხვა სტუდენტებისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
- გ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;

6.2. სტუდენტისათვის მიუღებელ აკადემიურ ქცევად ჩაითვლება შემდეგი

- ა) სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა.
- ბ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;
- გ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; ან საბაკალავრო/სამაგისტრო თემისის სხვა პირის მიერ შესრულების ორგანიზება.
- დ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
- ე) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება;
- ვ) საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება.

8) შეფასების მიღების მსჯელობა აკადემიურ/მონვეულ პერსონალზე ზენოლით ან აკადემიურ/მონვეულ პერსონალთან არაფორმალური ურთიერთობების დამყარებით.

მუხლი 7. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირი

7.1. ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ და/ან პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს, ასევე, ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს.

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შესაძლებელი სანქციები

8.1. ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევისათვის:

ა) სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენისას სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება. 3 თვის ვადაში მსგავსი ტიპის საქციელის განმეორებისას კი - სასტიკი საყვედური.

ბ) სტუდენტისათვის მიუღებელი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა სასტიკი საყვედური, 3 თვის ვადაში მსგავსი ტიპის საქციელის განმეორებისას კი - სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით. აღნიშნული საყვედურის მოქმედების ვადა არის 6 თვე. სასტიკი საყვედურის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების პერიოდში სტუდენტისათვის მიუღებელი საქციელის კვლავ ჩადენის შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინარული პასუხისმგებლობის უმაღლესი ზომა -სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

8.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არის სტუდენტის დისციპლინარული პასუხისმგებლობის უმაღლესი ზომა და მისი გამოყენება დასაშვებია არის მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შემადგენლობის არსებობისას.

8.3. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვა ღია და გამჭვირვალე პროცედურით, რომლის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეს ექნება საკუთარი პოზიციის დაცვის უფლება.

მუხლი 9. დისციპლინური კომისია

9.1. იმის გადასაწყვეტად, თუ რა სანქცია შეიძლება შეეფარდოს ეთიკის კოდექსის დამრღვევ სტუდენტს, რექტორის ბრძანებით, შესაძლო დისციპლინარული გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში იქმნება დისციპლინური კომისია.

9.2. დისციპლინურ კომისიაში შედიან:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ბ) ყველა ფაკულტეტის დეკანი;

გ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

დ) იურიდიული სამსახურის უფროსი.

9.3. ეთიკის კოდექსის დარღვევების განხილვა მიმდინარეობს კომისიის სხდომებზე. სხდომა ლეგიტიმურია, თუკი სხდომას ესწრება წევრების ნახევარი მაინც.

9.4. დისციპლინურ კომისიაზე სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება.

9.4. გადანყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.

9.5. დისციპლინური კომისიის მიერ მიღებულ გადანყვეტილება ეგზავნება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს გადანყვეტილების აღსრულების მიზნით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

1. ამ კოდექსს ბრძანებით ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

2. ამ კოდექსში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.